➡️13 ივნისს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან გაიმართა ერთდღიანი ტრენინგი თემაზე - „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები- ფუნქციები, როლი, საქმიანობა“.

➡️ტრენინგი ჩატარდა პროექტ „აზროვნების ფესტივალები თბილისსა და ზუგდიდში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ესტონეთის ცენტრი საერთაშორისო განვითარებისთვის მიერ (ESTDEV) და ხორციელდება MTU MONDO-სთან ერთად.

➡️ტრენინგს საერთაშორისო სამართალის ტრენერი - რუსუდან პაჭკორია უძღვებოდა.

➡️მონაწილეებმა იმსჯელეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებზე და გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებზე, ასევე განიხილეს გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა და გენდერული ბიუჯეტირების საკითხები.